


გ ა ჯ ე თ ი ღ ი რ ს :

თვე	სან. კ.	თვე	მან. კ.
12.	10 —	6 . . .	6 —
11.	9 50	5 . . .	5 50
10.	8 75	4 . . .	4 75
9 . . .	8 —	3 . . .	3 50
8 . . .	7 25	2 . . .	2 75
7 . . .	6 50	1 . . .	1 50

კალკ ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

ივერიის



სუთშაბათი, 18 ოქტომბერი, 1901წ.

რედაქცია ბიზნეს-საბანოში
 ნიკოლოზის ქუჩა, 21
 ტფილისი.
 გაზეთის დასაბარებლად
 და განცხადებთა დასაბეჭდად
 უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვა
 გამავრც. საზოგადოების კანცელირისა.
ფასი განცხადებისა:
 ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

ქართული თეატრი

სუთშაბათს, 18 ოქტომბერს 1901 წ.

ქართულის დრამატიკის საზოგადოების დასის მიერ
 ბ. ევლოვსკის სადებიუტოთ
 წარმოდგენილი იქნება
 პირველად განახლების შემდეგ

ჯადო სიყვარულისა

დრამატ. ეტიუდი 4 მოქმ. თხზ. კარპოვისა, გადმოკ. ა. ნათაძის მიერ.

ღ ა თ ვ ი

ვოლ. 1 მოქმედებად, თხზ. ჩეხოვისა, გად. გრ. ვოლსკისმიერ.
 მისწავილებას იღებენ: ქენი ჩერქეზიშვილი, ტასო აბაშიძე, ლევადა,
 ბენი: აბაშიძე, გამყრელიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, ევლოვსკი,
 იმედაშვილი, მირიანაშვილი და სხვ.
 დასაწყისი სწორედ 8 საათზედ. ფასები ჩვეულებრივია.
 რეჟისორი ვ. აბაშიძე

ინჟინერი

გეორგი დეკანოზიშვილი
 მოიღებს შემდეგ საინჟინერო სა-
 მუშაოს: 1) მანქანების გამოკ-
 ვლევა: ნავისა, ქვა-ნახშირისა,
 ვერცხლისა, სპილენძისა და სხვა;
 2) წყლის გამოყენას სასმელად და
 მამულების სარწყავად, 3) ექსპერ-
 ტიზას სადავო საქმეებში; 4) პლა-
 ნების გაკეთებას და სხვა საინჟინე-
 რო საქმეს.

ფელეტონი

მე-XIX საუკუნე

IV
 დემოკრატია*)
 პირველი ემიგრანტები, სარწმუ-
 ნობრივ დევნიდან ევროპიდან
 უკნობ და უცხო ადგილებში წა-
 სულნი, ერთმორწმუნეთა თანასწო-
 რებისა და ძმობის იდეალებით იყ-
 ვნენ გატაცებულნი. როგორც წინა-
 დაც ვწერდით, იმ მწარე და ვაგლახ
 დროს ამერიკისაკენ მიემზადებდნენ
 მხოლოდ მაგარის ხასიათის პატრონ-
 ნი და დაუღალავ შრომის მოყვა-
 რენი. ასეც უნდა მომხდარიყო:
 16 საუკუნეში ატლანტის ოკეა-
 ნზედ მოგზაურობა ხშირად 30-დგან
 80 დღემდე გასტანდა ხოლომე.
 მზაობა მაშინ პატარა გემებზედ
 შეიძლებოდა; გემის უფროსები უვი-
 ლნი იყვნენ; არ მოეპოვებოდათ მათ
 არც კარტები, არც კარგი იარაღი.
 ამერიკაში გამგზავრებულთ წინდა-
 ნინვე თავი სასკვდილოდ ჰქონდათ
 მიწირული. განსაცდელი ან ოკეა-
 ნის ტალღებისაგან მოელოდათ, ან
 ცნობ ჰქვეყნის სუსხიან ჰავისაგან, ან
 იდეგ ადგილობრივ მკვიდრ-ველურ-

*) იხ. „ივერია“ № 211.

პირველი კერძო სამკურნალო

ეფიფის ნავასარდიანისა
 (კუკიაში, ვორონოვის ძველის პირდაპირ)
 ავთოყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ-
 დღე, კვირა დღეებს გარდა.
ღ ი ლ ა ო ბ ი თ :
 ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს.
 საღოსტაქრო, ვენეროული (სიფილი-
 სი) და საშარდეს ავადმყოფობანი.
 შ. მ. ჩიოქვანი. 9—10 საათ.
 სნეულეზანი: თვალისა, შინაგანი და
 ნერვებისა.
 ზ. ი. პაპანასიანი. დილის 11
 —12 საათ. ქალთა და ბავშვთა სე-
 ნით ავადმყოფებს.
 კ. ი. ზაქელიშვილი. 12—1 საათ.
 კურისა, ყელისა, ცხვირის ავადმყო-
 ფობისა.
 ა. პ. აბაპატიანი. 1—1 1/2 ს.
 შინაგანისა და ბავშვებისა.

ს ა ლ ა ო ბ ი თ :
 ნ. ნ. როსტომიანი. 5—6 ს.
 საქირურგო და კანისა.
 ა. ნ. შაპკოვსკი. 6—7 ს.
 ნერვებისა (ელექტრო-ტერაპია), ში-
 ნაგანი და ვენერიულ ავადმყო-
 ფობათა.
 ბ. ა. თარხანოვი. შინაგან და
 ბავშვების ავადმყოფობისა, 7—7 1/2 ს.
 ს. ტ. არვანიძე. 11—1 ს.
 გაუკეთებს სახლში მსურველთ „მას-

საზოგადოებრივ წეს-წყობილების
 შესამუშავებლად, რომლის წყალობ-
 ბითაც განვიღობა საუკუნემ შეჰ-
 ქმნა უმდიდრესი, ყველაზედ განა-
 თლებული და მრეწველობით გან-
 თქმული სახელმწიფო — შვედეთუ-
 ლი შტატები.
 გაოცებას და გაკვირებას ეძლევა
 კაცი, როდესაც იგონებს, რომ
 1800 წელს რესპუბლიკაში 13 შტა-
 ტი იყო და 4 მილიონი მცხოვრები,
 ხოლო ეწლა 45 შტატია და 78
 მილიონი მცხოვრები; რომ სასწავ-
 ლებელთა, მოსწავლეთა და მასწავ-
 ლებელთა რიცხვი საოცრად გადი-
 და და გამრავლდა.
 1894—1895 წლ. ამერიკის სა-
 სწავლებლებში ირიცხებოდა:
 დაბალს სკოლებში (4 კლას.):
 14,201,751 მოსწ.
 128,376 მასწავ.-კაცი
 267,951 მასწავ.-ქალი
 საშუალო სკოლებში:
 144,077 ვაჟი
 206,022 ქალი
 6,787 მასწ.-კაცი
 7,335 მ.სწ.-ქალი
 კერძო საშუალო სკოლებში:
 57,354 ვაჟი
 60,993 ქალი
 3,991 მასწ.-კაცი
 4,568 მასწ.-ქალი
 ნორმ. საზოგ. სკოლებში:
 10,356 ვაჟი
 26,138 ქალი

საეს“, აუტრის ყვავილს და გამარ-
 თავს საექიმო გემნასტიკას ექიმის
 დანიშნით.
 ბ. ა. ნავასარდიანი. 7 1/2—8 ს.
 რჩევა-დაროგებისა და რეცეპტების დაწე-
 რის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფა-
 სოდ, ფასი კონსილიუმისა და ოპერაციები-
 სათვის—მორიგებით.
 დირექტორი სამკურნალოსი დოქტო-
 რი მედიცინისა ნავასარდიანი.
 Первая частная лечебница—д-ра
 Навасардиана.
 Тифлиси, противъ памят. Воронцову.

**„ქართველთა შორის წერა-
 კითხვის გამავრცელებელის სა-
 ზოგადოების“** გამგეობა ამით
 აცხადებს, რომ ამა წლის ოქტომ-
 ბრის 28 დღესა, დილის თერთმეტ
 საათზე, სათავად-აზნაურო ბანკის
 დარბაზში დანიშნულია საზოგადო-
 ების წევრთა წლიური
საზოგადო კრება.
 განსახილველია შემდეგი საკნები
 1) წლიური ანგარიში საზოგა-
 დობის 1900 წლის მოქმედებისა,
 2) მოხსენება სარევიზო კომისიისა
 ამ ანგარიშის შესახებ, 3) სავარაუ-
 დო აღრიცხვა შემოსავალ-გასავლი-
 სისა 1901 წლისათვის, 4) არჩევი-
 ნი საზოგადოების ახალ წევრთა, 5)
 არჩევიანი სარევიზო კომისიის წევრ-
 თა და 6) არჩევიანი საზოგადოების
 თავჯდომარისა და გამგეობის წევრ-
 თა.
 (5—უ.—3)

უნივერსიტეტ. და სხვა უმაღ. სკოლებში:
 6,956 პროფ.-კაცი
 1,508 პროფ.-ქალი
 84,765 სტუდ.-კაცი
 29,765 სტუდ.-ქალი
 განა რომ გასაოცარია ეს ციფ-
 რები? მთელს ევროპას არა ჰყავს
 იმდენი სტუდენტი, რამდენიც ამე-
 რიკას. მაგრამ ეს კიდევ სულ არ
 არის. ამავე წელიწადს არსებობდა:
 509 პროფესიონალური სკოლა,
 სადაც 66,700 სტუდენტი სწავ-
 ლობდა და 6,836 პროფესორი მა-
 სწავლებლობდა; 11,500 საქალაქო,
 სახელოსნო და სხვა სკოლა, სადაც
 ითვლებოდა 4,542,000 მოსწავ-
 ლე ვაჟი და ქალი და 72,400 მას-
 წავლებელი.
 ამ 20 მილიონიან ჯარის შესანა-
 ხავად საზოგადო დაწესებულებანი,
 ქალაქები, სააქციონერო საზოგა-
 დობანი და სხვანი წელიწადში
 ჰხარჯავენ 412,920,280 მანეთს.
 მაგრამ სწავლა-განათლების საქმე
 მარტო სკოლებით არ განისაზღვ-
 რება. ყველა ქალაქსა აქვს საკუთა-
 რი წიგნთ-საცავი. ასეთი წიგნთ-სა-
 ცავი ამერიკაში 4 ათასია, სადაც
 32 მილიონი ტომი მოიპოვება. რა-
 საკვირველია, იმ სახელმწიფოში,
 სადაც ერთი მესამედი სწავლობს
 და ასწავლის, კითხვასაც ძალიან
 უნდა მისდევდნენ. თუ რა ძლიერ
 არის გავრცელებული დრო-გამო-

ტფილისის კერძო სამკურნალო

ავადმყოფთათვის კრაოტები (ერთი
 უფასოა).
მიხეილ გედევანიშვილისა.
 კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი
 აგაბაშვილისა, № 21 (ვორონო-
 ვის ძველის პირდაპირ).
ტელეფონი № 274.
 ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე,
 კვირა დღეებს გარდა.
ღ ი ლ ი თ :
 მ. ი. შიხინაძე—კბილის სნეუ-
 ლეზანი, 8—10 საათ.
მიხეილ გედევანიშვილი—ნე-
 რვებისა და წამლობა ელექტრონით,
 9—10 საათ.
 ა. მ. ფედოროვი. შინაგან და
 ბავშვებისა. 9—10 ს.
 ბ. მ. მაღალაშვილი.—შინა-
 გან; სამშობათობით და სუთშაბათო-
 ბით, 10—11 საათ.
 ნ. ა. მულინი—ყურისა, ყელი-
 სისა და ცხვირისა—10—11 საათ.
 ი. მ. ახალაშვილი—კბი-
 ლის სნეულეზანი. 10—12 საათ.
 ა. მ. შატილოვი—თვალის, 10
 —11 საათ.
ეფიფი-ქალი მ. ს. ბაქრაძე ბავ-
 შვებისა—11—12 ს.
დ. ა. გედევანიშვილი—ნე-
 რვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.
 ა. მ. ბარსუკოვი — დელათა

შვედეთი გამომცემლობა, სჩანს შემ-
 დევიდგან. 1894—95 წლ. გამო-
 დიოდა:
 ყოვ.დ. გაზ. 1,853—7,690,000 ცალი
 კვირ. ჟურნ. 14,077—26,640,000 „
 თვიურ. ჟურნ. 2,501—11,740,000 „
 სხ. დროგ. გამ. 871—
 სულ 19,302—46,070,000 „
 არამტურ რომელიმე სახელმწიფო,
 მთელი ევროპაც ვერ გაუსწორდება
 ამ საქმეში ამერიკას. კიდევ ამი-
 ტომ ანციფრებს და აკვირებს
 ევროპიელს დაუცხრომელის მოქმე-
 დებით და კერძო ინიციატივით
 ამერიკა, ეს დემოკრატიის, სკოლე-
 ბისა, უნივერსიტეტებისა, წიგნთ-
 სცავების, ჟურნალებისა და გაზე-
 თების სახელმწიფო. ანციფრებს
 საქმიანობა საზოგადოებისა, ქალა-
 ქებისა, კერძო კაცებისა, უთვალავ
 ასოციაციებისა და ამხანაგობებისა,
 რომლებსაც ყველაგან და ყოველ-
 თვის აარსებენ სხვა-და-სხვს აზრით;
 ზოგს საგნად პოლიტიკა, სარწმუ-
 ნოება, მეცნიერება აქვს, ზოგს კი-
 დევ ქუჩების დასუფთავება, ფეხ-
 საცემელის წმენდა და სხვა.
 მოგზაურებმა და საგზაო რე-
 პორტიორებმა ბევრი რამ უამბეს
 ძველ ევროპას ამერიკულ ცხოვრე-
 ბის სასწაულთა, იქაურ საზღაპრო
 სიმდიდრისა, პოლიტიკისა და პო-
 ლიტოკოსთა შესახებ. მაგრამ დღემ-
 დე ნაკლებ ყურადღებას აქცევენ

სწეულბანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 საათ.

ს. ა. შორონი—ხირურგიული სადოსტაქრო სუთშაბათობითა და შაბათობით—1—2 საათ.

ი. დ. ბაგვატაშვილი, სიფილისისა, კანისა და საშარდესი, 1 1/2—2 ს.

ს ა ლ ა მ ო თ ი :

ი. ნ. თუშანიშვილი—დედათა სწეულბანი. 5—6 საათ.

კ ა მ რ ა ო ზ ი თ :

ბ. ბ. მაღალაშვილი—10—12 ს. შინაგან ავადმყოფობათა.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ. ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით.

ახალი ამბავი

* დღეს, 18 ოქტომბერს, ქართულ თეატრში წარმოსადგენად დანიშნულია ა. ნათაძის მიერ გადმოკეთებული კარპოვის დრამა „ჯადო სიყვარულისა“ ტვლილი „დათვი“.

* ტფილისის სამხედრო საკრებულოში 15 და 16 ოქტომბერს კენჭი უყარეს ჯარში გასაწვევ კმაწვილ კაცებს. დღიდან მკურნალეები იმ კმაწვილთა ჯან-მრთელობის შემოწმებას შეუდგებიან, რომელთაც ჯარში გასვლა ჰხვდათ.

* განსაკუთრებულ „პრიკაზში“ ტფილისის პოლიცემისტრმა კავკასიის მთავარ-მართველის მხრივ მაღლობა გამოუცხადა ტფილისის პოლიციის საუბილეო დღესასწაულების დროს წეს-რიგის კარგად დაცვისათვის. პოლიციელებს ორ ორი და სამ-სამი მანეთი დაურთავდა საჩუქრად. ამას გარდა, შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით, სამკურნა-

ლოდ ფული მიეცათ 22 აპრილს მომხდარ არეულობების დროს დაშავებულთ: ბოქაულის თანამდ. აღმასრულებელს გედევანოვს—100 მანეთი, პოლიციელებს კიტაევს—50 მან. და პიშვილს—20 მანეთი.

* ტფილისის კადეტთა კორპუსისათვის ახლის შენობის აგება განუზრახავთ. ახლანდელს შენობას გაყიდვას უპირობენ.

* ტფილისის გუბერნატორს 15000 მანეთი გადაეცა წელს ტფილისის გუბერნიაში საქონლის ქირის წინააღმდეგ საბრძოლველად ბეთალოთა შესანახად.

* შაბათს, 27 ოქტომბერს, „ტფილისის კრუჟოკის“ დარბაზში კონცერტი იქმნება გამართული „მასწავლებელ და აღმზრდელ ქალთა ურთიერთ დახმარებელი“ საზოგადოების სასარგებლოდ.

* ბაქოში განუზრახავთ 102 წლიდან ახლის საეპარქო და სამრევლო გაზეთის გამოცემა. გაზეთი დაიბეჭდება რუსულსა და სპარსულს ენაზედ.

* მთავრობას გადაუწყვეტია რეალურ სასწავლებლებში სწავლა დამთავრებულთ ნება-დართოს სამხედრო-სამკურნალო აკადემიაში სტუდენტებათ შესვლისა.

* როგორც სატახტო ქალაქის გაზეთები გადმოგვცემენ, უწმ. სინოდს უცნობებია საეპარქიო სასწავლებელთა საბჭოებისათვის, რომ სამრევლო-საეკლესიო სკოლებში მოსწავლე ებრაელებსა და მაჰმადიანებს ნება არ უნდა მიეცეთ გათავების ეგზამენის დაქვრისა სამხედრო ბეგრის გადახდისათვის შედგათიან მოწმობის მისაღებად. ასეთი მოწმობები ებრაელებსა და მაჰმადიანებს არ მიეცემათ, გინდაც რომ სამრევლო-საეკლესიო სკოლა კარგად გაათავონ.

* კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების საბჭომ დაადგინა აღძრას უშუამდგომლობა გამოფენის დროს დრო-გამოშვებით გამოცემების მოღვაწეთა კრების ნება-დართვის შესახებ.

* ფოსტა და ტელეგრაფთა მთავარ გამგებობას, „ნოვ. ობოზ“-ს—სიტყვით, უკვე განუხილავს პროექტი ტფილისის ელექტრონით განათებისა და დაუმტკიცებია იგი.

* 1 იანვრიდან 15 ოქტომბრამდე უძრავ ქონებათა დაფასების გარდასახად, გან ქალაქ ტფილისის შემოსვლია სულ 327,322 მანეთი 9 კაპ. ქალაქის წყლის მიღს ამავე ხნის განმავლობაში მოუტია 149,733 მან. 77 კაპ.

* ტფილისის საქალაქო სასწავლებელთა სამეურნეო ნაწილის გამგედ, ბარბუღარიანის ნაცვლად, მხითარიათი დაუნიშნიათ.

* როგორც ტფილისის მაზრის სოფ. წვერიდან „კავკას“ ატყობინებენ, ამ დღეებში იქ ძმებს მელიკაშვილებს, ივანეს და ბესარიონს, ჩხუბი მოსვლიათ, რომლის დროსაც ივანეს ცული დაურტყავს ბესარიონისთვის და თავი გაუჩუბია, ბესარიონი 1 1/2 საათის შემდეგ გარდაცვლილა.

უცხოეთის განხილვა

„იერიის“ მე-225 ნომრის მესამე გვერდზე, პირველ სვეტში (ბ-ნ სტაროსელსკის „სიტყვა“-ში) შეცდომით დაბეჭდილია: „მრავალს მის საშუალებათაგანს დროებითი, პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა“ და სხვა უნდა იყოს: „მრავალს მის საშუალებათაგანს დროებითი, პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა.“

კავკასიის გამოვანა.

გამოფენის კომისარიატს აზრად აქვს 20 ოქტომბერს გამოფენის ეზოში გამართოს, თუ ამინდი ხელს შეუწყობს, „ყვავილთა დღესასწაული“.

რადგანაც გამოფენის თეატრს ამ ბოლოს დროს თითქმის არავი-

თარი შემოსავალი აღარა ჰქონდა, კომისარიატს წარმოდგენების მართვა ორშაბათიდან მოუწყია და მოთამაშენი დაუთხოვია. როგორც ამბობენ, არტისტებს აზრად აქვთ დავა აუტყვონ კომისარიატს ადრე დათხოვისათვის.

ხმა შორიდან.

ზოგიერთ ქართულ სიტყვების გამო.

ბევრი სიტყვაა ჩვენს ენაში, რომლის მნიშვნელობა ჯერ კიდევ არ არის სრულად გამოკვლეული და სხვადასხვა მწერალს სხვა-დასხვანაირად ესმის. „ბევრი მიფიქრია ჩვენს ქართულ ენაზე“, ამბობს ჩვენი სახელოვანი პოეტი აკაკი („იერიის“ № 178, 1901 წ.): „დავკვირვებოვარ: ხან აფურთოვებულვარ, ხან დავნალვლიანებულვარ, უძილობით ხომ დამეგები გამიტყენია და ზოგი რამ მაინც ვერ წარმომიდგენია ნათლად“. დიხს, თუ თვით ჩვენს საუკეთესო ენის მკოდნეს, ბ. აკაკისაც „ზოგი რამ ვერ ჰქონია წარმოდგენილი ნათლად“ ქართულს ენაში, რაღა გვეთქმის ჩვენ, შემდეგ თაიბის წარმომადგენელთ, რომელნიც ოჯახშია და სასწავლებელშია მოკლებულნი ვიყავით სამშობლო ენაზედ განვითარებას? აკი ამიტომაც მხოლოდ ჩვენს მწერლობაში შეიძლება შეხედვს კაცი იმისთანა კუროზებს, როგორცაა, მაგალითად, ამ წლის „ცნ. ფურ“-ს № 1581-ში მოთავსებულ წერილში: „არქეოლოგიური ნაშთი“, სადაც ქარაგმით დაწერილი „ქა“ მიღებულია თვით დროს აღმნიშვნელ რიცხვებად და ამის გამო მჭვიდმეტე საუკუნეში აშენებული ეკლესია ნაჩვენებია მეთერთმეტეში აშენებულად.

დავანებოთ კუროზებს თავი და განვიხილოთ იმისთანა სიტყვები,

რომელნიც ყოველწი წიგნის იხმარებიან ჩვენს ენაში და მათნიც არყოფილან გამოკვლეული. ამ ხანად მე შემიძლია დავასახელო ორი ასეთი სიტყვა:

თავის შემოსხნებულის აზრის დასამტკიცებლად ბ. აკაკის მოჰყავს სიტყვა „საუცხოვო“. — მაგალითად, სიტყვა „უცხო“... „საუცხოვო“ ნიშნავს მეტად კარგს, წუნდაუღებელს, ამბობს ის: „და ნუ თუ ჩვენი ხალხი კარგსა და მოსაწონს მხოლოდ თავის სამშობლოს გარედ ჰხედავდ? რად იყო თავის თავზე გულ-გატეხილი და უცხოებზე დიდი აზრის მექანი, მაშინ როდესაც... ეს რაღაც ძნელად გამოსარკვევი ეროვნული ახირებულდება, რომელიც თვით ქართველ ერსავე შეუნიშნავს და ანდაზა დაუდგია: „შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვსო“. მაშ, რიდათი უნდა აიხსნას ეს აზრის ორქოფობა?.. ბ. აკაკის თავისებურად ესმის სიტყვის „საუცხოვოს“ მნიშვნელობა; მას ჰგონია, რომ ქართველი ამ სიტყვით თითქო იმას ამბობდეს, კარგი და მოსაწონი მხოლოდ ის არის, რაც უცხოაო, და თავისებურადვე ხსნის ამ სიტყვაში მყოფ აზრის ვითომდა „ორქოფობას“.

ჩემის აზრით „საუცხოვო“ ნიშნავს მხოლოდ იმისთანა რასმე, რაც არამც თუ შინაობაში, ჩვეულებრივ დროს შეიძლება იხმაროს კაცმა არამედ თვით გარემესთანაც და რითაც შეიძლება თავის მოწონება მოგვხსენებათ, რომ ყოველს ქალაქს, მაგალითად, ტანისამოსი „საშინაო“ და „საგარეო“. პირველ მხოლოდ „შინ“ იცვამს, მეორე-„უცხო“ გარედ, როცა წავა სადმე, მაშინ, როცა უცხო ვინმე ესტუმრება.

კარგი, თუ გინდა, სიტყვა „საუცხოვო“ აგრე აფხნათ, როგორც აფხნით სიტყვას „უცხო“-სო, მე

იმას, თუ რა გავლენა აქვს სკოლას, წიგნთ-საკაცა და დრო-გამოშვებით გამოცემას ყოველ დღიურ ცხოვრებაზედ. ეს კი ძალიან საინტერესოა. აი მაგალითი.

უკანასკნელ ათ-თხუთმეტ წელიწადს ამერიკელნი მთელ რესპუბლიკის გეოლოგიურად და აგრონომიურად აღწერას შეუდგნენ. არც ერთს დაწვეს უღლებას არ შეეძლო ამ მეტად მძიმე საქმის სისრულეში მოყვანა, მაგრამ საყოველთაო საშუალო განათლების წყალობით, განსაკუთრებით სახელოსნო და სატეხნიკო განათლებისა, იგი სულ ადვილად შესაძლებელი შეეძვნა. მთავრობამ მხოლოდ ნიმუშები და ბლანკები დაჰგზავნა და გააგებინა ხალხს, სად რა უნდა ჩასწეროს, როგორი იარაღი უნდა იხმაროს და ქიმიურ-მექანიკურის საშუალებებით იხელმძღვანელოს, და ეს ძნელი საქმე განხორციელებულ იქმნა საოცარის სინამდვილითა და დაკვირვებით.

როგორც ვუწყოთ, მიწად-მოქმედება არსად არ არის ისე განვითარებული, როგორც შეერთებულ შტატებში. სოფლის მეურნეთათვის ძალიან საჭიროა იცოდნენ ამინდის ვითარება, განსაკუთრებით იქ, სადაც, როგორც შტატებში, იგი ხშირ ცვალებადობას ექვევია. ყოველ შტატის ბევრ პატარა ქალაქში არ-

სებობს საასტრონომიო ობსერვატორიები და სადგურები, ტელეგრაფთა შეერთებული იმ სოფლებთან, სადაც სკოლა და საფოსტო სადგურებია. ყოველ დღე ადგილობრივი მცხოვრებნი ამინდის ამბებს ატყობინებენ საფოსტო კანტორის ბიუროს და იმისაგანაც ტყობილობენ ასეთსავე ამბებს. იმ შემთხვევაში, როდესაც ცული ამინდია მოსალოდნელი, ბიურო დღეში ატყობინებს მცხოვრებთ ამას და ასწავლის, რა ზომები უნდა იქმნას მიღებული. ყოველივე ეს მოწყობილია კერძო ინიციატივის წყალობით, არც ბრძანებათა საჭიროა, არც მოწერილობანი და არც კანტორალი. მთავრობა, უკედ რომ ვსთქვათ, საფოსტო უწყება ამ საქმეში მოსამსახურის როლს ასრულებს: იგი მცხოვრებთ ტელეგრაფს უთმობს და უსასყიდლოდ აწვდის საჭირო ცნობებსა და ბიულეტენებს.

უსასყიდლოდ ცნობების მიწოდება ჩვეულებრივი საქმეა ამერიკაში. თუ მიწად-მოქმედებას, ინდუსტრია და მექანიკურებას მისდევთ, სკოლა მიჰმართოთ ამა თუ იმ სამინისტროს მთავარ ბიუროს და სამეცნიერო დაწესებულებებს, რომელნიც ათას გვარ გამოკვლევებსა და ანგარიშებს ჰბეჭდავენ და უსასყიდლოდ მოგაწვდიან დაბეჭდილ გამოცემებს ისევე, როგორც უსასყიდლოდ აწვდი-

ან ამ გამოცემებს წიგნთსაკაცებს, საზოგადო დაწესებულებებს, სკოლებს, სამეცნიერო და სალიტერატურო საზოგადოებებს. მე გადამითვალე რებია ზოგი ერთი ასეთი მრავალ-ტომიანი და უსასყიდლო გამოცემა. გასაოცარია სიმდიდრე, ცნობათა სიმრავლე, გარკვეული და ნათელი მსჯელობა ამ გამოცემებისა.

ერთი მაგალითი კიდევ უკანასკნელ ომის დროს ესპანელებს ძალიან აოცებდათ ის გარემოება, რომ ამერიკის გემებიდან ჩამოჩუმდები არ მოისმოდა ხალხმე. არ ისმოდა არც ხმაურობა, არც ფაციფუცი, არც ბრძანება. ზღვაოსანნი და ჯარის-კაცი წყნარად იყვნენ, მაგრამ ყუმბარებს მაინც დროზედ და სწორედ ისეოდნენ, ყოველივე საქმე რიგითა და წესით სრულდებოდა. რასა ნიშნავს ეს, რა მიზეზია? ეკითხებოდნენ თავიანთ თავს ესპანელები. საქმე-კი სულ უბრალოდ აიხსნება: ზღვაოსანნი და გემის მოსამსახურენი, ყველანი ოთხ-კლასიანი სკოლის განათლებით იყვნენ აღჭურვილი; არტილერიის მოსამსახურებსა და უფროს ზღვაოსნებს საშუალო სატეხნიკო და საპროფესიონალი სკოლა ჰქონდათ გათავებულნი. ამათვის რამდენიმე კვირა საკმაო იყო, რომ თავიანთ საქმის თეორია და პრაქტიკა შეესწავლათ.

უფროსები წერილობით ატყობინებდნენ საქმეს და ყველამ მშვენივრად იცოდა ის, რაც უნდა გაეკეთებინა.

საყოველთაო განათლებამ და განვითარებამ მარტო მიწად-მოქმედებასა და სამხედრო საქმეში არ მოიტანა ნაყოფი. უფრო მეტი გავლენა იქონია განათლებამ მექანიკისა, ტეხნიკისა და ინდუსტრიაზედ. ვის არ გაუგონია, რა სისწრაფით იზრდებიან ქალაქები ამერიკაში, როგორ მრავლდება რკინის გზების, გემების, ქვა-მალაროებისა, ათასგვარ ქარხნების რიცხვი? ორმოცის წლის წინად ნიუ-იორკში ნახევარ მილიონზედ ნაკლები მცხოვრები ითვლებოდა, ხოლო ბრუკლინი სოფელი იყო მდინარის მფორე ნაპირას. დღეს-კი ნიუ-იორკი და ბრუკლინი უდიდესი ჩამოკიდებულ ხილით არიან შეერთებულნი, მცხოვრებთა რიცხვი 3 მილიონს აღემატება და თვით ქალაქიც გაკვირვებთ და გაოცებთ უზარ-მაზარის, საუცხოო ხელოვნების შენობებით, სამრეწველო და სავაჭრო მოქმედებით.

ჩიკაგო 50 წლის წინად ღარიბი სოფელი იყო, ეხლა იგი ქალაქია, 1 1/2 მილიონ მცხოვრებით დასახელებული. ბუფფალო, დანვერი და სხვა უზარმაზარი ქალაქები სავსეა საგანგებო შენობებით, სამექანიკო

მოწყობილობებით, ორბქლისა, ელექტრონისა, წყლის სამომაროებით ყოველივე ეს უკანასკნელ 25—30 წლის ნაყოფია.

საიდგან ქაჩნდენ ამდენი ხელოსანი, მექანიკოსნი, ინჟინერნი ხუროთ-მომღვარნი? ეს მრავალ მლიონიანი ქალაქები შეიარაღო მოაწყო და დაამშენა იმავე თავესუფალომ სკოლამ, ისეთმა წერკითხვის სკოლამ კი არა, როგორც მაგალითად, ინგლისშია, არამე ოთხ-კლასიანმა, სატეხნიკო, საბრფესიონალი და უმადლესმა სკოლამ ეს ქალაქები დღეს სასწაულთა ახდენენ. იმათთვის საჭირო არ არის არც საფრანგეთის აღმინისტრატორეგლამენტაცია და არც გერმანიის აღმინისტრატორის მოუსვენრობა, მლო-მალ საქმეში ჩარევა. იგი სცხორობს და მოქმედობს ახანაგობებით ასოციაციებით, კავშირებით, ტრსტებით,*) Trade-Union-ებით, მათის ფედერაციებით. არც რესპუბლიკის მთავრობას და არც კერძო მტატების კანომდებლობასა აღმინისტრატორის არ შეუძლიან დოვებათა საქმეებში. ჩარევა შეუ-

*) ანუ ქაჩიან დიდ ქარხნის პატრონი და მდიდარ ნეკოციანთა ამხანაგობე რომელთაც აზრად წარმოებისა და მომმარებლობის მონაპოლიზაცია აქვთ. ტრსტებზედ როდესმე შედეგ მოვილაპარაკებ

ტყვი, რომელიც იმავე მნიშვნელობით იხმარება, როგორც თვით საუცხოვო-ო. მე მგონია, რომ „უცხო“ აქ მხოლოდ საუცხოვო-ს შემოკლება და ამიტომ მხოლოდ იგივე მნიშვნელობა აქვს, რაც „საუცხოვოს“, ე. ი. ნიშნავს უცხოვსთან გამოსაჩენს რასმე და არა მართლა უცხოვს, გარეშეს. მე თუ ვკითხვით, სიტყვა „უცხო“, როგორც კარგი და ჩინებული რამ, ხალხი იშვიათად იხმარება (მე დარწმუნებული ვარ, რომ „უცხო“ ლექსში: „ნახეს უცხო მოკმე ვინმე სჯდა მტირალი წყლისა პირსა“ ნიშნავს „უცხოვს“, „გარეშეს“ და არა „მოსაწონს“.) და თვით სიტყვასაც „საუცხოვო“ ამ აზრით უფრო ხშირად ირონიულად ვხმარობთ, ვინემ მართლა...

წერილში: „ხალხის აღწერის და შემოსავლის დავთრები საქართველოში“ („მოამბე“ № IV, 1901 წ.) ახალგაზდა მკვლევარი ბ. ივ. ჯავახიშვილი, სხვათა შორის, ამბობს (გვ. 10): აღწერის დავთრებში „აღნიშნულია აგრეთვე რამდენ კომლად ითვლება ყმა, ან კომლში რამდენი „თავი“; რასა ნიშნავს „თავი“ ამ გვარ შემთხვევებში, ჩვენ მწერლობაში ჯერ გამოკვლეული არ არის, მაგრამ ერთი ქართული ანდაზა ნებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ „თავი“ კომლში ოჯახის უფროსს უნდა ნიშნავდეს, მამა — ქმარს, — აი ეს ანდაზა: „ჯერ თავი და თავო, მერე ცოლო და შვილო“, — კომლში შეიძლება რამდენიმე ოჯახი იყოს, თვითოეულ ოჯახს ეყრდნობა „თავი“ ანუ უფროსი — მამა“. ამნაირად მებატონის ყმების სიაში რომ გვარი და სახელი მოხსენებულია, ის მთელ კომლის უფროსს ეკუთვნის, ხოლო დავთარში ნაჩვენებია, რამდენი ოჯახი სახლობს თვითოეულ კომლში, მაგ. „შინდლარს მსახლობელი.

ლიან მხოლოდ სასამართლოს, ხალხის მიერ არჩეულს ნაფიც მსაჯულებს, ისიც მაშინ, როდესაც საქმე სისხლის სამართალს ეხება, მკვლელობას, ქურდობას და სხვას. ამის გარეშე ამერიკელს შეუძლიან გააკეთოს ყველა ის, რასაც მშობლები და მოქალაქენი შესაძლებელად სთვლიან.

მოქმედებისა და მოღვაწეობის რადარგიც უნდა აღიაროთ, ყველაფერში დიდი რესპუბლიკა თავის განათლებულის მსხვილებლობით დღეს მათვეში უღდა კაცობრიობას.

რკინის გზების სიგრძე იმავე 1895 წელს 270 ათასი ვერსი იყო, თითქმის ორჯერ მეტი, ვიდრე ევროპაში. გემი და იალქნიანი ხომალდი 23,240 ითვლებოდა, ინგლისში-კი, რომელიც დანარჩენ ევროპას უთანასწორდება, მხოლოდ 16,105, ე. ი. 7,135 გემით ნაკლები.

ეს გზები, გემები გამართულ იქნა მაშინ, როდესაც იზრდებოდნენ მრავალ-მილიონიანი ქალაქები, როდესაც ამ ქალაქებში 21 ათას ვერსის მანძილზედ ელექტრონის ტრამვაები გაჰყავდათ. ყველა ამისთვის საჭირო იყო რამდენიმე ასი-ათასი ტენიკოსი, რამდენიმე მილიონი მკოდნე მუშა. სამთო საქმე? ლითონების ინდუსტრია? ქარხნები? საქმიო წარმოება? ტიპო და ლიტოგრაფიის საქმე?... ამ დარგებში

მამასახლისი შალვა კი (კომლია) ა (1) თავი გ. (3)... პაპანაშვილი მურდანანა კი ა თავი ე და სხვა... ამ ნაირად, როგორც ჰხედავთ, ბ. ივ. ჯავახიშვილი ხალხის აღწერის დავთრებში ხმარებულ სიტყვას „თავი“ ოჯახის უფროსის მნიშვნელობას აძლევს და, ჩემის აზრით, ძალიანაც სტდება. „შინდლარს მსახლობელი: მამასახლისი შალვა კი ა თავი გ... პაპანაშვილი მურდანანა კი ა თავი ე სწერია დავთარში და მე მგონია, რომ დიდი მეცნიერება არ არის საქირო, კაცმა გაიგოს, რას ნიშნავს აქ „თავი“? — რასაკვირველია სულს (Душа) თვითოეულს წვერს ოჯახისას, ან კომლის შემდგენელს და არა ოჯახის უფროსს მხოლოდ. „მამასახლისი შალვა კი ა, თავი გ... პაპანაშვილი მურდანანა კი ა, თავი ე.“ — ი. ი. მამასახლისი შალვას მეთაურობის ქვეშ იყოფებოა ერთი კომლი, ან ერთი ოჯახი, სამის სულისაგან შენდვარი, და პაპანაშვილ მურდანანას მეთაურობის ქვეშ ერთი კომლი, ან ერთი ოჯახი, ხუთი სულისაგან შემდგარი. სიტყვა კომლი აქ ნიშნავს იმავე ოჯახს და არა ვითომ და ოჯახთა კრებულს, როგორც ავტორს ჰგონია.

რომ ეს ასეა, ამტკიცებს ის გარემოება, რომ ჯერ მთელი ოჯახის უფროსია დასახლებული და მერე ნაჩვენებია კომლი ერთი, თავი სამიო. თუ კომლი იყოფოდეს რამდენსამე ნაწილად და თვითონ მხოლოდ ყველა ნაწილების კრებული იყოს, რა საქირო იყო დასახლება კომლი ერთი? თუ პაპანაშვილ მურდანანას მეთაურობის ქვეშ ყოფილა ერთი კომლი და ეს დასახლებულია, მხოლოდ იმით, რომ შესაძლებელია ყოფილიყოს რამდენიმეც. დიახ, თვით სიტყვა კომლი ნიშნავს ოჯახს და ის, ვინც ამ

რესპუბლიკა ხომ ყველა სხვა სახელმწიფოზედ მალა სდგას. ავიღოთ მარტო რკინის ინდუსტრია. რკინის დამუშავება და წარმოება იმდენადაა განვითარებული, რომ ყოველსავე ხარჯს დამუშავებისას ისტუმრებენ რკინის შემოსავლით კი არა, არამედ სხვა ქიმიურ ნაყოფით, რომელსაც რკინა იძლევა დამუშავების დროს. ამერიკელები მსოფლიო ბაზარს საუკეთესო თვისების რკინით მოჰყვნიან. მათ უკვე გაუ სწრეს ამ საქმეში ინგლისს: ინგლისისათვის რკინის ხიდს ეგვიპტეში ამერიკელები აშენებენ, რელსებს სამხრეთ-აფრიკის რკინის გზებისათვის ინგლისელნი ამერიკელებისაგანვე იძენენ. ხოლო იცით, რა შემოსავალი იძლევიან რკინისა და ფოლადის ქარხნები ამერიკაში? ვშიშობ, მკითხველო, საზღაპრო და დაუჯერებელ ამბად არ მოგვიყვინოს. „La Revue Technique“, № 18, მე-423 გვერდზედ (1901 წლისა) ამბობს სიტყვა-სიტყვით, რომ ხუთის უმთავრეს ქარხნის წმინდა მოგება 1900 წელის უდრიდა 480 მილიონ ფრანკსაო.

თუმცა მეტად დიდია მოგება, მაგრამ მე ეს კი არა, ის ტენიკა მკვირვებს, მოწყობილებანი, მანქანები, განსაკუთრებით-კი შტატების მუშათა ის ხელობა, ცოდნა და წარმოებითი ნიჭი, რომელთა წყა-

კომლის თავში უწერია, ოჯახის უფროსს, ხოლო „თავი“ სულს. თვით ანდაზა: „ჯერ თავი და თავი, მერე ცოლო და შვილო“, რომლითაც ავტორი ასახულებს თავის აზრს, დადადებს მის წინააღმდეგ და არა მის სასარგებლოდ. „ჯერ თავი და თავი“ ნიშნავს „ჯერ თვითონ მე“-ს როგორც ცალკე პიროვნებას და არა როგორც ოჯახის, ცოლ-შვილის თავს. კაცს ცოლ-შვილზედ უმხლობდესი არა ჰყავს, გარდა თავისის თავისა და ისიც ჯერ თავისთვის ზრუნავს და მერე სხვისთვის, ხოლო სხვათაგან ყველაზედ უფრო დაახლოვებულ ცოლ-შვილისთვის. ამ ანდაზის აზრი იგივეა, რაც რუსულთა: „СВЯЯ РУБАНКА БЛИЖЕ КЪ ТЬЛУ“ და „თავი“ „თავის თავს“ აღნიშნავს, რუსულ „САМЪ“-ს უდრის. აქედან წარმოსდგებიან სიტყვები: „თავისი“, „თავისიანი“, „თავათ“, „თვით“, „თვითონ“, „თვთოეული“ და სხვა. სიტყვა „თავი“ სხვა ენებშიაც აღნიშნავს: „ერთეული“, „სულს“, „ცალს“. მაგალითად რუსულად, როცა საქონლის ფარაზეა ლაპარაკი, ყოველთვის „სულის“ და „ცალის“ აღსანიშნავად ხმარობენ „თავს“ (ГОЛОВА) და აზობენ „ფარა ამდენ და ამდენ თავისაგან შემდგარი“ (СТАДО ИЗЪ ГОЛОВЪ). ყოველ თქმულიდან, მე მგონია, ცხადად სჩანს, რომ „თავი“ ჩვენებურ ხალხის აღწერის დავთარში ნიშნავს ცალკე სულს. დასასრულ, მივაქცევ მკითხველის ყურადღებას სიტყვებზე, „ზღვაოსანი“ და „ხარკის ამკრეფი ინსპექტორი“, რომელნიც შეცდომით იხმარებიან ჩვენს მწერლობაში. ყველამ იცის, რა მნიშვნელობას აძლევს სიტყვას დაბოლოება: „ოსანი“, მაგალითად, „ვეფხის ტყაოსანი“, „ჩოხოსანი“, „ქულო-სანი“ და სხვა, ხოლო ჩვენი მწერ-

ლობითაც ასეთი მოგება შესაძლებელი. ამ ქარხნებში 320 ათას მუშაზედ მეტია. იმათი საშუალო საშუალო ფასი 8 ფრანკია დღეში. წელიწადში 300 საშუალო დღე რომ ჩავადლოთ, ერთი მუშის ჯამაგირი 2400 ფრანკი იქნება. ყველა მუშები-კი ერთად იღებენ 768 მილიონ ფრანკს. მაშასადამე, ეს მუშები წელიწადში ამზადებენ სულ მილიარდ 548 მილიონ ფრანკის საქონელს, ე. ი. თვითოეული მუშა დღეში ამზადებს ორთა შუა რიცხვით 13 ფრანკისას... მე კიდევ მუშების ჯამაგირი ცოტა ავიღე. 8 ფრანკს მუშა ინგლისში იღებს, ხოლო ამერიკაში — 10 და მეტსაც. თუ ამას მიუმატებთ ზოდის ფასს, გათბობის, აღმინისტრაციისა და სხვა ხარჯს, მაშინ მუშის წარმოება დღეში 16-18 ფრანკით გამოიხატება.

ათ წერილშიაც ვერ აღწერსხავთ საფასებით იმას, თუ შეერთებული შტატები დიდათ გავრცელებულ საშუალო სატენიკო და სამეცნიერო განათლების წყალობით როგორ მოექცა კაცობრიობას სათავეში. არ შევჩერდები აგრეთვე ავსტრალიაზედ, შეერთებულ შტატების ამ უმცროს დაზედ, რომელიც შტატებივით საარაკოდ აღყვავდა განვლილ საუკუნეში. შ. შტატების, კანადისა, ავსტრალიისა და შვეიცარიის დემოკრატიამ

ლები ხშირად ხმარობენ „ზღვაოსანს“ რუსულ „МОРЯКЪ“-ის გამოსახატავად, მაშინ როდესაც ქართულ ენაში ამ ნაირი ცნება სულ სხვანაირად გამოიხატება. „მეველე“, „მეწიქვილე“, „მებალე“, „მეტყველე“ ითქმის ქართულად და არა „ველოსანი და სხვა, მაშასადამე უნდა ითქვას „მეზღვე“ და არა „ზღვაოსანი“. რაიცა შეეხება „ხარკის ამკრეფ ინსპექტორს“, რა სიტყვებითაც ვითომ თარგმნიან რუსულ „ПОДАТНОЙ ИНСПЕКТОРЪ“-ს, უნდა ვსთქვა, რომ სრულიად არ შეესაბამება ერთი მეორეს. ПОДАТНОЙ ИНСПЕКТОРЪ-ი თვითონ არაფერსაც არა ჰკრებს, ის მხოლოდ თვალყურს ადევნებს ხარკის მოკრეფის საქმეს და იცავს როგორც ხაზინის, ისე გარდამხდელის ინტერესებს; მაშასადამე ის ხარკის, გარდასახდელთა ინსპექტორი, ან მე-თვალყურეა და ასეც უნდა ვუწოდოთ.

ლუბო-მეგრული

უცხოეთი

საზრანგეთი. საფრანგეთის პალატის პირველმა სხდომამ, რომელიც 9 ოქტომბერს მოხდა, ხელახლად დაგვანახა, რა დიდი გავლენა აქვს მუშათა კონგრესების გადაწყვეტილებას პოლიტიკურს ცხოვრებაზე. საფრანგეთის საქიროვარამო კითხვა ამ უამად ქვა-ნახშირის ზანდების მუშათა მოსალოდნელი საყოველთაო გაფიცვაა. გაიხსნა თუ არა პალატის სხდომა, სოციალისტთა დეპუტატმა ბასლიმ, რომელიც ყველა გზით ცდილობდა ეს გაფიცვა როგორმე გადაეთქმევინებინა მუშებისთვის, წარუდგინა პარლამენტს კანონ-პროექტი შესახებ 8 საათის საშუალო დღის დაწყ-

მოგვცა უმაღლესი ტიპი საზოგადოებრივ, გონებრივ და ინდუსტრიულ განვითარებისა, რომელსაც კაცობრიობამ განვლილ საუკუნეში მიღწია. ამ განვითარების სათავესა და წყაროს, ჩვენის აზრით, შეადგენდნენ ის იდეალები და მისწრაფებანი საზოგადოებრივ მოძრაობისა, რომელთაც ევროპაში მე-16, 17 და 18 საუკუნეებში ჯერ სარწმუნოებრივ, ხოლო შემდეგ პოლიტიკურ რეფორმის სახე მიიღეს. წარსულ საუკუნეში დემოკრატია თავისი ღირსებებითა და ნაკლები განვითარებით სრულს აპოგეოსს მიღწია.

დემოკრატია და იმისი იდეალები ამი. ძრავებდნენ მთელ თაობებს; იმან შეუწყო ხელი კაცობრიობის განვითარება და ქონებრივ განვითარებას; ალაფრთოვანა დიდებული ჰოეტნი, გამოიყვანა სამოქმედო ასპარეზზედ შესანიშნავი, ქეშმარიტად დიდებული, საპოლიტიკო მოღვაწენი, გმირნი, მინისტრები — ლინკოლნი, გარიბალდი, ლედრიუროლენი, გლადსტონი... თითქოს დემოკრატიაში თანასწორობით კანონის წინაშე, ელემენტარულ განათლებით ყველასათვის, სინიღისისა და სარწმუნოების თავისუფლებით, მიტინგებითა, მწერლობით; დიდად განვითარებულ მრეწველობით და წარმოებით; თითქოს ყველა ამით, ვამბობთ, დემოკრატიაში

სებისა, საშუალო ფასის ქვეყნებში განსახლებრისა და 25-ის წინაშე მისათვის მუშათათვის 2 ფრანკიანი პენსიის დანიშნისა. მინისტრ-პრეზიდენტმა, ვალდეკ-რუსსომ მთავრობის სახელით პასუხი მისცა ბასლიას, რომელშიაც იგივე გამოსთქვა, რაც წინა დეპუტატმა ფედერაციის მდივანს კოტასთან გაგზავნილს წერილში, და მოითხოვა, რომ კანონ-პროექტი ჯერ ცალკე კომისიაში გადაეკმულიყო. „მთავრობა ისე იმოქმედებსო, სთქვა დასასრულ ვალდეკ-რუსსომ, თითქოს არავინ არაფერს მუქარას არ უთვლიდესო. არავითარს მუქარას არ შეუძლიან იძულებულ ჰყოს მთავრობა წინდაუხედავად და მოუფიქრებლად მისცეს ისეთი ალტქმა, რომელსაც ის ვერ შეასრულებსო“. მინისტრ-პრეზიდენტის შემდეგ კიდევ რამდენიმე დეპუტატმა ილაპარაკა და 50 ხმის უმეტესობით მიღებულ იქმნა ვალდეკ-რუსსოს წინადადება.

— გაზეთებში ოფიციალური შენიშვნა დაისტამბა იმის შესახებ, რომ დელკასსემ კვირას მიიღო სანახავად სომხურის გაზეთის L'Arménie-ს რედაქტორი და სომხის პარიკელი მღვდელი. დელკასსეს სთხოვეს, ინიციატივა მიიღოს თავის თავზე და ბერლინის კონფერენციის მონაწილე სახელმწიფოები მოიწვიოს კრებაზე. აუდიენციის დროს დელკასსემ სომხებს თანაგრძნობა გამოუცხადა.

აშსტარ-შენგეთი. გერმანელთა საერო დასი ერთს უკანასკნელს სხდომაზე შეეკითხა სამინისტროს, მიეცა თუ არა გარეშე საქმეთა მინისტრს წინადადება, ავსტრიის სახელით მოეთხოვა საშხრეთ-აფრიკის ომის დამთავრება და სამედიატორო სამართლით საქმის გათავება; დასი კითხულობს აგრეთვე, აპირებს თუ არა მთავრობა მოაგონოს ინგლისს საერთაშორისო და ადამიანთა უფ-

გაბატონა დიდის ხნის იდეალი ბენიერებისა. უფუნურობაა, თითქოს, ეძებდე უკეთეს იდეალს, როდესაც თავისუფალ, თვით-მმართველ სახელმწიფოთა დღევანდელი აზოგადოებრივი წეს-წყობილება განხორციელებათ უკანასკნელ სამის საუკუნის საუკეთესო კაცთა სურვილისა, ნატერისა და იდეალისა!... მაგრამ ასე კია? მართლა განხორციელდა გუისტიებისა და ანაბაპტიტების იდეალი? ან ქეშმარიტების მოთხოვნილებანი, როგორც ეს ვიკლფის მიმდევართ, გლენთა ომების მოღვაწეთ საფრანგეთის ხალხს ესმოდათ მე-18 საუკუნის დასასრულს? მთლად ამ სიმდიდრემ, ამ ბრწყინვალეებამ შეამცირა თუ არა ტანჯაუბედურებანი მცხოვრებთ უმრავლესობისა? უფრო კარგად და ბედნიერად სცხოვრობს თუ არ ხალხი, რომელმაც თავის შრომით ჰქმნა ეს სიმდიდრე და რომელიც თავის მკერდით იცავდა ამ დაწესებულებებს? ხომ არ შეიცავდა თვით დემოკრატიაში იმ სოციალურ იარებს, რომელთაგანაც თან-და-თან უფრო მეტად და ძლიერ იტანჯებიან ყველაზედ დიდი, განათლებული და დემოკრატიული ერები? პასუხს ამ კითხვაზედ განვილილ საუკუნის ახალი საზოგადოებრივი თეორიები გვაძლევენ. ამიტომ ჩვენც იმათ განხილვას შეუდგებით.

გ. მარველი



ლებს მოთხოვნანი, და აპირებს თუ არა მთავრობა სრული ნეიტრალიტეტი დიცივას ამ ომში.

ჩინეთი. „Standard“-ს ატყობინებენ განძრახულის ჩინეთისა და რუსეთის კონვენციის შინაარსს; კონვენცია ოთხის შემდგომს მუხლი საგან შესდგება: 1) რუსეთი დაუბრუნებს ჩინეთს მანჯურიის ყველა პროვინციებს და რკინის გზას მანხაიგუან-ნიუჩანგს; 2) რუსეთი ერთი წლის განმავლობაში გამოიყვანს თავის ჯარებს სამხრეთ მანჯურიიდან; 3) რუსეთი განათავისუფლებს ორის წლის განმავლობაში გირინის და ხელუნძინის პროვინციებს და 4) ჩინეთი მოვალე გახდება რუსეთის ოფიცრების დახმარებით გაწურთნოს მანჯურიის ჯარები მუგდენში. ამ შეთანხმების გარდა, კიდევ რაიმე სხვა ფარული შეთანხმება უნდა იყოს განძრახული, ჰფიქრობს „Standard“-ი იმის გამო, რომ ეს შეთანხმება ჩინეთისათვის ძალიან სასარგებლოა.

სამხრეთი აზრები. კრიუგერი-სთვის შეუტყობინებიათ, კაპის ახალშენში 15,000 ჰოლანდიელი მიემხრო ბურებს.

ჩრდილოეთი ამერიკა. კონგრესში შესატანი კანონ-პროექტი ანარქისტების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ უკრძალავს ანარქისტებს ამერიკაში მისვლას. ეს აკრძალავს პოლიტიკურს ემიგრანტებს არ შეეხება; ანარქისტად ჩაითვლება ის, ვინც აზრთა წყობილებით საზოგადოებრივი მშვიდობიანობის წინააღმდეგაა.

საზრანგეთი. თუ მუშათა მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ იქნა, ფედერაციის კომიტეტი მოახდენს გაფიცვას 8 დღიდან 14 დღემდე, და შემდეგ ისევ დაიწყება მუშაობა. ამ გაფიცვით მუშები თავის ძალას და ანახებენ მთავრობასა და ახალს ვადას მისცემენ იმათს მოთხოვნის ასასრულებლად.

შურნალ-გაზეთებიდან
(ამოკრფილი ამბები)

იტალიაში ბევრგან ძალიან კარგი ყურძნის მოსავალი ყოფილა წელსა. ღვინის ფასმა ისე დაიწია, რომ მევენახობა პირდაპირ საზარალი შეიქმნა. მეღვინეები ძალიან დამარებულნი არიან. ეხლა ისინი იტალიის მთავრობას სთხოვენ სპირტის გადასახადის დაკლებას, რადგანაც ღვინის ნაკვალად არცის გამოხდას აპირებენ. შუამდგომლობა უკვე აღუძრავთ.

ამ დღებში შესანიშნავ ისტორიკოსს მომზენს (გერმანელია) საპროფესო მონღა-წიობის 50 წელიწადი შეუსრულდა. ამის გამო მხცოვან მოხუცს მიულოცეს როგორც მეცნიერთ, ისე სხვა-და-სხვა უწყებების დაწესებულებათა წარმომადგენელთ. ამას გარდა იუბილიარმა მრავალი ადრესი და დეპეშა მიიღო.

ფრანგებიც აპირებენ ერთის-თავიანთ საუკეთესო მეცნიერის, ჰიმეკასის ბერტელ-ლუს 50 წლის სამეცნიერო-საპედაგოგიო მოღვაწეობის დღესასწაულს. 1851 წელს ბერტელლემ მიიღო ასისენტის ადგილი ბალარის ლაბორატორიაში და მას შემდეგ იგი დაუტოვებლად შრომობს და ახალ-ახალს გამოკვლევებით ამდიდრებს მეცნიერებას. დღეს ბერტელლო პროფესორადაა College de France-ში, იგი მეცნიერებათა აკადემიის წევრია, სენატორი და ორჯელაჯ მინისტრად ნამუშაო: 1886—87 წლებში საგრა განათლებისა, ხოლო 1895 წელს—გარეშე საქმეთა.

ამ ქამად ლევირის მუხეში ალაგებენ საარქეოლოგო ნივთებს, სპარსეთიდან მოტანილს. სამის წლის წინად საფრანგეთის მთავრობა პირობით შეეკვრა სპარსეთს, რომლის ძალითაც ფრანგებს აქვთ მხოლოდ უფლება იმ ადგილების დათრისა, სადაც ახეშენილების ძველი სატახტო ქალაქი იყო. საფრანგეთმა სპარსეთს ამაში 100,000 ფრანკი მისცა. ხელმძღვანელობს მუშაობას ინჟინერი დემოგონი, რომელმაც საარქეოლოგო მოღვაწეობით ეგვიპტეში მოიპოვა სახელი. მეტად იშვიათი და ძვირფასი ნივთები უპოვნიათ ამ ძველ ქალაქის ადგილას.

ცნობილი რომანისტი ეიულ-ვერნი სრულიად დაბრმავებულია თურმე. მხედველობა ეიულ-ვერნს რომანის წერის დროს დაჰკარგვია

ელდუარდ ბერნშეინს განუზრახავს საკუთარის ჟურნალის გამოცემა ამ სათაურით „Documente Sozialismus.“ ჟურნალის უმთავრეს საგანს სოციალიზმის ისტორიის მთავარ მოვლენათა გადაცემა და კრიტიკა შეადგენს, სოციალიზმის შინაურ ბრძოლის აღწერას და სხვას.

როგორც ნიუ-იორკის გაზეთები გადმოგვცემენ, მექსიკელ ინდიელთა (ინდიელნი ველურად სცხოვრობენ) შორის უნახავთ შესანიშნავ მხატვარის ტიციანის სურათი. ეს ინდიელი მიჩიკანის შტატში სცხოვრობენ მექსიკას. სურათი ეკლესიაში აქვთ შენახული. ინდიელებს არაფრის გულისთვის არ უნდათ ამ სურათის გაყიდვა. მექსიკის ეპისკოპოსს 20,000 პეზეტო შეუძღვია. ეხლა ამერიკელი მილიონერი 250,000 მანეთს აძლევს ინდიელებს სურათში, მაგრამ ისინი დიდს უარზედ სდგანან. ეს შესანიშნავი სურათი მე-16 საუკუნეში ესპანიის მეფეს უჩუქებია ინდიელებისათვის, რადგანაც მათ ქრისტიანობა მიუღიათ.

გ ა კ რ ი თ

ქართულ თეატრში მოსიარულეს დღიურიდან.

„18 ოქტომბერი.—წარსულ ხუთშაბათს ქართულ თეატრში ვიყავ. აღარ მახსოვს, რა წარმოდგინეს: ნაცნობი ქალები შემხედნენ და იმათთან ლაპარაკში ისე გავერთე, რომ ვერც პიესას დაუგდე ყური და ვერც არტისტების თამაშს ვადევნე თვალი. არც მაგდენად საქირთა ესა... დღესაც უნდა წავიდე წარმოდგენაზედ. წლევანდელი სეზონი, როგორც ვატყობ, ცოტა ძვირად დამიჯდება: ადრე დაიწყეს და გვიან ათავებენ. ესეც კია, თეატრში შესვლას წლეულს ძალიან იაფად ვახერხებ—თითხმეტ შაურად პირველ რიგში გამოვიქიმები ხოლმე. ამგვარი საქმე ჩვეულებრივი მოვლენა ყოფილა თურმე ჩვენ თეატრში, მე-კი მხოლოდ ეხლა გავიგე, ისიც შემთხვევით, ვიღაც უცნობ კაცის წყალობით. აი, როგორ იყო საქმე.

ერთხელ მწარე ფიქრებში გართული ქართულ თეატრის კასსას დაუპირდაპირდი, კასისს წინ ერთი ქალარა შერთული, რგვლად ჩასუქებულ პიჯაკოსანი იდგა; ამ კაცს ხშირად, ძალიან ხშირად ვხვდები სხვა-და-სხვა საქველმოქმედო ხასიათის დაწესებულებათა წევრების სხლამაზე და ქართულ წარმოდგენების საღამოს ხომ მუდამ პირველს რიგში ვხვდავ გამოქიმულს. უეცრივ ყური მოვკარ კასსირის სიტყვებს: „თითხმეტ შაურიანი მხოლოდ ორი ბილეთილა დარჩაო.“ მე გავვოციდი, ნუ თუ ეს

ვატახონი ისე გაკოტრებულა, რომ პირველის რიგიდამ უკანასკნელს რიგში გადასუკუბებას აპირებს მეთქ. რათა შემთხვევა მქონდა, იმას გვერდით ამოვჯდომიდი, მეც თოთხმეტშაურიანი ბილეთი გამოვართვი და ავედევნე ჩარგვალეზულს ვატახტონს. გაიხდა ჩემმა წინამძღვარმა პალტო, შეპყო თავი პარტერში და... კულანდებულად პირველს რიგში-კი გამოიქიმა. მე ცოტა შევკოყმანდი და შემდეგ ორიოდე წუთისა მეც თამამად გადავდგი ფეხი და იმის გვერდით ჩავჯექ საფარძელში. პირველს ხანს თითქოს მრცხვენოდა, თითქოს მეშინოდა კიდევც, უეცრივ კონტროლიორი არ გამოჩნდეს, ყურში ხელი არ ჩამკიდოს და პირველი რიგიდამ უკანა რიგში არ გამათრიოს მეთქი, მაგრამ, ცოტადენი ფიქრის შემდეგ, სრულიად დამშვიდდი, მით უმეტეს, რომ ჩემი „კონდრანდისტი“ მეზობელი ისე ამყად იტყირებოდა აქეთ-იქით, თითქოს თავის სამთავროში ბრძანდებოდა. ამ საღამოთი გადავწყვიტე, მომავალშიაც მუდამ ასე მოვიქცე, ეს ერთის მხრივ ბევრად იაფად დამიჯდება და, მეორე მხრივ, როგორც მივბაძე ჩემს დარგვალეზულს პიჯაკოსანს, ისე სხვები მომბაძავენ მე, ასე რომ თეატრში სიარული ყველას იაფად დაუჯდება, ეს კი ჩვენის ქვეყნისათვის საკეთილო საქმეა. ამის შემდეგ მუდამ პირველ რიგისაკენ ვავემართები ხოლმე თოთხმეტ შაურიან ბილეთით და თუ იქ ადგილი არ არის, მეორე წყებაში ვკალათავდები. ერთხელ ლოქაშიაც კი ამოვყავ თავი. სულ ცოტა ხანში ჩემს საქციელს იმოღენა მიმბაძავე აღმოუჩნდა, რომ დღეს საღამოს, დარწმუნებული ვარ, არავინ თავის ადგილას არ დაჯდება. მართალია, ანტრეპრენიორად გადაქცეული დრამატიკულ საზოგადოების გამგეობა ძალიან გაბრაზებულია და დიდს მუქარას გვითვლის მე და ჩემისთანებს, მაგრამ რას დაგვაკლებს, საგარძლებს ხომ კლიტეს ვერ დაადებს და იმის გასაღებებს არ გაჰყიდის ბილეთების მაგივრად?!

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“).
16 ოქტომბერი.

ჩისტოპოლი. გემებას მიმოსვლა ყაზანსა და ჩისტოპოლს შუა ჯერ არ შეწყვეტილა.

ქიმი. კიევის უნივერსიტეტში სახელმწიფო გამოცდა მკურნალთა დამთავრდა; გამოსაცდელად თხოვნა სულ 112 კაცს ჰქონდა მიცემული; ამითან მკურნალთა ბარისხი მიიღო გამარჯვებით 16, მკურნალთა 81, მკურნალი-ქალის ხარისხი 2-მა, ვერ დაიჭირა ვეზამენი ერთმა, მეორე წლისათვის დარჩა 10 და არ გამოცხადდა ორი.

შენა. რუსეთის ელჩი გრაფი კანისტი, საელჩოს მდივანი ბარონი შალლინი და სამხედრო აგენტი რობი ნაშუადღევს ბუდაპეშტში წავიდნენ, რომ დიდის მთავრის მიხედვით ნიკოლოზის ძის პატივსაცემად სასახლეში გამართულს უბედულეს სადილს დაესწრნენ.

ქიმი. ქალაქის სამკითხველთა გამგეობიდან დათხოვნილი სამსახურიდან გადამდგარი პოდპოლკოვნიკი მორდოვსკი დღეს დილით ქალაქის მოურავს პროკურკოს დეცა თავს იმ დროს, როდესაც პროკურკოს საბჭოს შენობაში შედიოდა. მორდოვსკი სამსახურიდან იმის გამო იქმნა დათხოვნილი, რომ სამკითხველოში მოსიარულეთ ცუდად თურმე ეკიდებოდა. ქალაქის მცხოვრებნი ამის გამო დიდად აღელვებულნი არიან. კიევისა და მოვილევს შუა და აგრეთვე მოვილევსა და ორშას შუა გემების მიმოსვლა შეწყვეტილა. უწმ. სინოდის ობერ-პროკურორის ამხანაგმა საბლერმა სასულიერო სასწავლებლები ინახულა.

პარიში. საფრანგეთის ყველანავესადგურებში დიდი მოძრაობაა ინგლისელების გემების წინააღმდეგ იმის-და გამოსახატავად, რომ ინგლისელები ტრანსვალში ბურების მოხუცებულებს, დედაკაცებსა და ბავშვებს სასტიკად ეპყრობიან. მარსელში, ბორდოში, რუანში და გავრწი ბარგის მზიდველებმა ინგლისელების წინააღმდეგ პირი შეპყრეს. ოსმალეთისა და საფრანგეთის საქმე, რომელიც აგერ თითქმის ორი თვეა ვერ გათავებულა, საზოგადოებას ცოტა არ იყოს აღელვებს. გაზეთი „Francais“ თავისს წერილში „დროა გავათავოთო“ აცხადებს, რომ ასე ღლები-სა, კვირებისა და თვეების დაყოვნებით საფრანგეთი დიდად შემცდარია და საჭიროა დაკმაყოფილება მოსთხოვოს ოსმალეთს, საქმეს ბოლო მოეღოს. ამ საგნის შესახებ პალატაში უკვე რამდენიმე კითხვაა შეტანილი.

პრემიერი. პოლკოვნიკმა რემანგტონმა ცოტას გასწყდა არ დაიჭირა ლუი ბოტა, რომელიც ძლივს წაუვიდა ხელიდან. ინგლისელები ბოტას ბანასკ მოულოდნელად დაეხსნენ თავსა. ბოტამ რამდენისამე ასი ნაბიჯით გაასწრო მტერსა და დაჰკარგა ქუდი, ჩვეოლვერი და ქალაღლები, რომლებიც მტერს ჩაუვარდა ხელთ. ტყვეთ 10 ბური წაიყვანეს. ბოტას ახლა მცირედი ჯარი ჰყავს თანა, რომელიც ამ წინაზედ ნატალში აპირებდა შესვლას; დანარჩენი ჯარი გაფანტა.

ოპორნი. (ნიუ-იორკის შტატი). ჩოლგოსი დიდის 7¹/₄ საათზედ იქმნა მოკლული ელექტრონი.

17 ოქტომბერი.
კამბარშრბი. თანახმად ვორონეის გუბერნატორის მიერი 1-ლი ოქტომბერს წარდგენილ ცნობებისა, შინაგან საქმეთა მინისტრი აცხადებს, რომ ვორონეის გუბერნიის ორი მაზრა—ბოგოუჩარისა და ოსტროვოჟისა—მოსავლის მხრივ გაჭირვებულია.

ლომი. ბერეზინის მაზრაში შვრია და ქერი ზოგან რიგიანი მოვიდა, მაგრამ ჰეავი არსად. ჩალა და ბალახი ძალიან ცოტაა. მიწის მომქმენდი, საკვების უქონლობისა გამო, საქონლის გასყიდვასა სცდილობენ, რის გამოც ფასმა ძალიან დაიწია.

ბამო. 15 ოქტომბერს გაჩენილმა ცეცხლმა ბალახანაში 34 ნავთის კოშკი იმსხვერპლა: 8 ნობელისა,

7 თუმევისა, შერუხტერტსენი ბაოქოს საზოგადოებისა და 10 „არსლუისისა“. ზარალი 80 ათას მანამდეა.

ლონდონი. კიტჩენერი იუწყებდებოდა პრეტორიდან, რომ აღმოსავლეთიდან ზეერუსტისაკენ მიმავალს ინგლისის ჯარს 11 ოქტომბერს, პატარა მდინარე მერიკას მასლობლად, დელარეისა და კემბრაზმები თავს დასხმინა და ხშირჯაგნარიდან ძლიერად მიჰსვეტი ინგლისელებსა, მაგრამ ინგლისელებს სასტიკის ბრძოლის შემდეგ ბურებს უკუ უქცევიათ. ბურებისათვის მოუკლავთ 40 კაცი და ამათ შორის რაზმის უფროსი უისტერშენიცი; ინგლისელებისათვის მოუკლავთ ორ ოფიცერი, 26 ჯარის კაცი და დაუჭრიათ ხუთი ოფიცერი და 50 ჯარი კაცი.

პარშაპა. შეიპყრეს ცნობილი რეციდივისტი ზვიგინი, რომელიც სულ ცოტა ათჯერ არის სასამართლოს მიერ დამნაშავედ ცნობილი და რომელმაც ამ ბოლოს დრომემამულე კალაკუცკიას გამოსტყუოთურმე 11,000 მანეთი. ზვიგინი ჩერკასოვის გვარით თურმ სცხოვრობდა ვარშავაში.

რიზა. იოსებ კასაკის წლი ნახევრით პატიმართა გამასწორებელ განყოფილებაში გაგზავნა გარდაუწყვიტეს.

ლონდონი. მდინარე მერიკოსთან მომხდარ ბრძოლის შესახებ კიტჩენერი დასვენს, რომ მტერი ინგლისის 8 ურემი წიულა. ინგლისის ჯარის ყველა ნაწილები გმირულად იბრძოდნენო. სურსათის ურემებთან მყოფთაგან, არტილერი სტეზიდგან, რომლებიც ბრძოლაში მონაწილეობას იღებდნენ და ნორტუმბერლანდის ფუზილერებიდან რომელთა რიცხვიც 200-მდე იყო და ზურგს უმაგრებდნენ მებრძოლთა დაჭრილი და მოკლულია 37 კაცი.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

უაგი-ჰვის მწარმოებელთა კრების საბჭო. აცხადებს რომ ამა 1901 წლის 19 ოქტომბერს, შუადღის 12 საათზედ, საბჭოს სადგოში ქ. ქუთაისს მოხდება საჯარო ვაჭრობა, რომელზედაც იჯარით გაიცემა შემდეგი სამუშაოები ჰიათურაში:

- 1. რგანის გზატკეცილის გზმართვა; სამუშაო 3332 მან. 70 კაპეისაა.
- 2. სამრეწველო გზების შემადგება; სამუშაო 2056 მან. 80 კაპ. სულ სამუშაო 5388 მან. 50 კაპეისაა.
- ვისაც ჰსურს ვაჭრობაში მონაწილეობა მიიღოს, უნდა წარუდგინოს საბჭოს ბეი ხარჯთ-აღრიცხვით აღნიშნულ თანხის 5% ნაღდ ფულად ან მთავრობის მიერ უზრუნველ ყოფილ სარგებლიან ქალაღლებით. ვაჭრობას საბჭო ამტკიცებს. ხარჯთ-აღრიცხვისა და პირობების განხილვა შეიძლება ყოველდღე საბჭოს სადგოში. (3—5.—3)